# პროექტის განმარტება

პროექტი № NV-46/18 დამუშავდა 2018 წლის საინვესტიციო გეგმის თანახმად, რომელიც ეხება ქ. თბილისში გლდანის დასახლებაში, მე-8-ე მ/რ, კორპუსი №17-ის 10 სადარბაზის 0,4 კვ. ძაბვით ელ. მომარაგების სამწვერიანი მიწისქვეშა ამორტიზებული 3ც. ძალოვანი კაბელის შეცვლას 4 წვერიანი კაბელებით.

9 სართულიანი 10 სადარბაზოიანი საცხოვრებელი კორპუსის მე-2-ე, მე-6-ე და მე-8-ე სადარბაზოს შესასვლელის გარე კედელზე არის დადგმული ძალოვანი გამანაწილებელი კარადები, საიდანაც 0,4 კვ. ძაბვით მარაგდება კიბის უჯრედებში დადგმული აღრიცხვის კვანძის კარადები.

გაითხაროს საკაბელო ტრანშეი ს/ჯ № 9088-დან კორპ. № 17-ის მიმართულებით გრუნტში, შიდა კვარტალური ასფალტირებული ეზოს გვერდით გრუნტში, ამავე ასფალტირებული ეზოს გადაკვეთაში არსებულ ძალ. გამანაწილებელ კარადამდე, მოეწყოს საკაბელო ბალიში წვრილფრაქციური ქვიშით, მიწისქვეშა კომუნიკაციების გადაკვეთაში ჩაიდოს სქელკედლიანი დამცავი მილი, რომელშიდაც გატარდეს სამონტ. კაბელი, ჩაიდოს 3ც. კაბელი АВВГЗ (4*185)мм2 კვეთის, მიეყაროს ქვიშა, სავალ ნაწილზე დაეყაროს ქვიშა-ხრეში, სამანქანო გზის გადაკვეთაში დაეყაროს ღორღი – დაიტკეპნოს და დაიგოს ასფალტი. შენობის გვერდით გრუნტში დაეყაროს ამოღებული გრუნტი და დაიტკეპნოს.

ს/ჯ № 9088-ის 0,4 კვ. ძაბვის ნაკვეთურში არსებულ გამავალ სახაზო კარადაში და საცხოვრებელი სახლის სადარბაზოების შესასვლელებში არსებულ ძალ. გამანაწ. კარადაში გაითიშოს ძალოვანი გამთიშველები, გამოიხსნას არსებული ამორტიზებული სამწვერიანი კაბელები, ახალ ჩადებულ კაბელებს გაუკეთდეს საბოლოო ქუროები და შეერთდეს გამოხსნილი ძველი კაბელების ადგილზე ს/ჯ-ში და კორპ. №17-ის სადარბაზოებთან დადგმული ძალ. გამანაწ. კარადის შემავალ გამთიშველზე.

ძალოვანი კაბელების ნულოვანი სადენი შეერთდეს კარადების კორპუსებზე დამცავი დანულების მოწყობის მიზნით.

სამშენებლო–სამონტაჟო სამუშაოები შესრულდეს ПУЭ–ს და СНиП–ის ნორმების შესაბამისი პუნქტების დაცვით.

| პრ-ტი № NV-46/18 | |
|---|---|
| ფ.№ | ფ.რ. |
| 2 | 4 |